საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5440
20/09/2022

5440-21-2-202209201255

შპს „მნ გრუპი-2021“-ს
მის: ქ. თბილისი, მარიამ უგრელიძის №6
ელ. ფოსტა: nkhvedeliani@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4133 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. გორში, მდ. მტკვრის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია მოიცავს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1003191 ლიცენზიის (დუბლიკატი N1000295) კონტურს. აღნიშნული ლიცენზიის პირობებით განსაზღვრულია ლიცენზიის მფლობელის მიერ, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების ვალდებულება. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „მნ გრუპი-2021“-მა ზემოაღნიშნული ლიცენზია, ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიასგან“. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე“. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობა კვეთს შპს „საქართველოს მელიორაციას“ საკუთრებაში არსებულ სარწყავ არხს,

შესაბამისად, სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს აღნიშნული არხის მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების აღწერას, აგრეთვე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისა და განთავსების შესახებ;
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის პროცესში, ტექნიკის გადაადგილების ზონაში, პერიოდულად მოხდება გრუნტიანი გზების მორწყვა, შესაბამისად, განცხადებაში განხილული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების პროცესში ტექნიკური წყლის, აგრეთვე სასმელ-სამეურნეო წყლის გამოყენების საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო